№ 6

# ივერია

ფასი ერთი შაური

9 თებერვალი 1909 წ.

სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთი გამოდის ორშაბათობით

ზოგიერთ საქონელზე ფასი ღირებულზე დაკლებულია მანეთზე 75%-ით.

# პ. ს. დოროჟნოვი

ზოგიერთ საქონელზე ფასი ღირებულზე დაკლებულია მანეთზე 75%-ით.

სოლოლაკის ქუჩა, გურგენოვის სახლი ტელ. № 583.

**მაღაზია ძალიან გადიდებულია, მირიმანისეული მაღაზიის სადგომიც მასთან ერთ მაღაზიათ შეერთებულია**

ამით ვატყობინებთ მყიდველებს, რომ რუსეთში ვაჭრობის დაცემით ვისარგებლეთ და შემთხვევით ძალიან იაფად შევიძინეთ მრავალი საქონელი, აგრეთვე მაღაზიაშია უკანასკნელ სეზონის საქონელი აქვე ტფილისში შემთხვევით ნაყიდი და წინა სეზონებიდან დარჩენილი. ყველა ამ საქონელზე დანიშნულია

# დიდი იაფობა

**რომელიც 12 დღეს გაგრძელდება, ე. ი. იქნება**

**9, 10, 11, 12, 13, 14, 16, 17, 18, 19, 20 და 21 თებერვალს**

ამ იაფობაში მაღაზიის ცხრავე განყოფილებას გასაყიდათ გადაცემული აქვს 300,000 მანეთზე მეტის ნაირ-ნაირი საქონელი, რომელიც განსაკუთრებულ იაფ ფასებში გაიყიდება

## ყველა საქონელი ძალიან იაფად

**1. აბრეშუმეულობის განყოფილება.**

აბრეშუმის საკაბეები ნაჭრებად; აბრეშუმი ნარევი. მომზადებული საკაბეები, ყოველნაირი მრავალი დარჩენილი საკაბეს ნაჭრები და სხვა და სხვა სეზონის საქონელი.

**დაუჯერებელი იაფი ფასები.**

**2. შალის საქონლის განყოფილება.**

უკანასკნელ სეზონის საკაბეები და საკოსტიუმო შალის მატერიები ტანისამოსისთვის ნაჭრებად. ფასი 3 მ. 75 კ. და მეტიც, ნაირ-ნაირი 5000-ზე მეტი შალის მატერიის ნაჭერი, **არა ჩვეულებრივ იაფ ფასებში.**

**3. მაუდის საქონლის განყოფილება**

ინგლისურ და რუსულ ქარხნების ტრიკო, კაცების და ბავშვების სატანისამოსე.

კაცების და ქალების პალტოებისთვის დრაპი, სადა და ფერადი

3000-ზე მეტი მაუდის ნაჭერი **დაუჯერებელ იაფ ფასებში.**

**4. ბამბის საქონელი და მიტკლის განყოფილება.**

10.000 ნაჭერზე მეტი ყოველნაირი ფერადი მიტკალი მეტად იაფად.
ფრანგული ტილო $10^1/_2$ კაპ. არშინი და მეტიც
ფულიარი და მუსლინი ფერადი $10^1/_2$ კაპ. არშინი და მეტიც.
სარატოვის ნაირნაირი სარპინკები 9 კაპ. არშინი და მეტიც.

**5. კაცების შეკერილ საცვლების განყოფილება.**

დღის და ღამის პერანგები, კალსონები, საყელოები, გალსტუკები და მანიშკები უკანასკნელ სეზონისა. **იაფ ფასად**

**6. ქალის შეკერილ საცვლის განყოფილება**

პერანგები, კოფტები, პერანგის ამხანაგები, იუბკები.
უკანასკნელ სეზონის ფერადი საცვლები, იუბკები, ბლუზკები, კაპოტები, ღლპაგის იუბკები, აბრეშუმის იუბკები და მრავალი სხვა და სხვა ქალის საცვალი და თეთრეული.

**პირველად ასე იაფად**

**7. ტილოსი და სხვა და სხვა მატერიების განყოფილება**

20.000-ზე მეტი ყოველნაირი ტილოს საქონელი, სუფრები და ბამბის მატერიები. ფერადი სუფრები, ზაფხულის საბნები, ცხვირსახოცები და სხვა საქონელი

**გასაოცარი სიიაფე**

ტილო კრუჩონკა 7 კაპ. არშინი და მეტიც.

**8. ნაქსოვ საქონლის განყოფილება**

ქალის და ბავშვის ჩულქები, კაცის და ბავშვის წინდები, შავი, ფერადი და მაკო.

იშვიათი შემთხვევა: საზღვარ-გარეთის შალის ჩულქები შავი, ორკეცძირით და ქუსლით, რომელიც ჩვეულებრივად დუჟინი 7 მ. 80 კაპ. ღირს ეხლა იყიდება 4 მ. 80 კაპ.

**9. მებელის საქონლის განყოფილება**

ყოველნაირი მებელის მატერიები, პლიუში, ხალიჩები, დაროჟკები, პორტიერები ყოველნაირი, შვეიცარიის ფარდები, გარდინების ტიული

**ყოველნაირი დარჩენილი საქონელი**

**განსაცვიფრებელ იაფ ფასებში**

10. **განყოფილების გარეშე:** შესანახი რომ არ დარჩეს და ზაფხულში რჩილმა არ შესჭამოს, გაიყიდება **ძალიან იაფად** ტფილი საავარაკო ზოლიანი საბნები 2 მ. 25 კ. თითო და მეტათაც. აბრეშუმის საავარაკო საბნები 3 მ. 25 კ. თითო და მეტათაც.

იაფობის დროს ვაჭრობისთვის მაღაზია ღია იქმნება დილის 9 საათიდან $2^1/_2$ საათამდისდა ნასადილევს 4 საათიდან $6^1/_2$ საათამდის.

P. S. **იაფად გასაყიდი საქონელი ფასდადებით არავის არ გაეგზავნება.**

**იაფობა რომ გათავდება, მაღაზიის ყველა განყოფილება მიიღებს ამ სეზონის აურებელ სხვა და სხვა საუკეთესო საქონელს.**

პ. დოროჟნოვი.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Эриванская площадь д. Гургенова, ред. газ. „ИВЕРІА" **К. П. Туманову.**

გაზეთი „ივერია" გამოდის ორშაბათობით, ცალკე № ღირს ყველგან ერთი შაური. ნომერში მოთავსებული იქნება კვირა დღის ამბები და დეპეშები, რომელიც სხვა გაზეთებში სამშაბათობით გამოდის.

**წლის ფასი 3 მან.**

სარედაქციო ნაწილის გამგე კ. პ. **თუმანიშვილი.**

რუსული ყოველ-დღიური გაზეთი

**„Закавказье"**

ფასი წლიურად ტფილისში 6 მან. ნახევარის წლით 3 მან. 50 კაპ. ტფილისს გარეთ წლიურად 8 მან. ნახევარი წლით 4 მან. 50 კაპ. თვიურად ყველგან 75 კაპ.

ადრესი: Тифлисъ, Эриванская площадь, д. Гургенова, ряд. съ конторою нотаріуса Мгеброва. 0—1

## ამერიკული ვაზის სანერგე

**„კლო-ყგურული"** ქუთაისში.

**მთელ რუსეთში განთქმული მრავალი სხვადასხვა ჯიშის ვაზები**

**1200** ჯიშის ამერიკული, ევროპიული და აზიური ღვინის და საჭმელ ყურძნის და გიბრიდები პირდაპირ დასარგველი.

**პრეის-კურანტი და ახსნა-დარიგება ეგზავნება მსურველს უფასოთ.** (3—3).

კახელ მეღვინეთა ამხანაგობა

## სამრო

ამხანაგობის წევრთა ვენახების ღვინო ბოთლი 25 კაპ და მეტიც.

მუდმივ მუშტრებს ღვინო დაკლებულ ფასებში ეძლევათ

**მაღაზია იმყოფება ერევნის მოედანზე, თამამშევის ქარვასლაში**

ტელეფონის № 720. 0—1

## გორის საურთიერთო კრედიტის საზოგადოება

კვირას, 15 თებერვალს ქ. გორში, საზოგადოების სადგომში დანიშნულია ჩვეულებრივი საზოგადო კრება

**განსახილველი საგნები:** 1) წლიური ანგარიშის განხილვა და დამტკიცება. 2) ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება. 3) გამგეობის ერთ დირექტორის არჩევა (ბ. ცერცვაძის ნაცვლად). 4) საბჭოს ორ წევრის არჩევა (ბბ. ოქროპირიძის და შიხანოვის ნაცვლად). 5) სარევიზიო კომისიის 3 წევრის და 3 კანდიდატის არჩევა. 6) საპენსიო კასა. 7) საკუთარ სახლის შესაძენ თანხის შედგენა. 8) საურთიერთო ნდობის საზოგადოებათა ცენტრალურ ბანკში წევრად შესვლა. 2—1

## ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი

სთხოვს ბბ. ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთ მობრძანდნენ 12 ამა თებერვალს, საღამოს 8 საათზე, ტფილისის დეპუტატთა საკრებულოში (ბელინსკი ქუჩა № 2) საგანგებო საგუბერნიო კრებაზე.

კრებაზე განხილულ უნდა იქმნეს: 1) მოხსენება სათა ად-აზნაურო თეატრის შენობის გადაკეთებაზე 2) მოხსენება ამ თეატრთან რესტორანისათვის შენობის შეკეთებაზე.

## კაფე პარიზი

ტფ. თავად-აზნაურობის თეატრის ეზოში

(Дворцовая ул,)

ჩაი, რძე, ყავა, შოკოლადი, კაკაო პირაჟოკები, ბუტერბროტები (15 კაპ. და მეტიც)

**სააქპური**

**ცივი და ცხელი კერძები 25 კ. და მეტი**

სასმელი წყლები

**ლუდი, სადილი**

**ფასები ხელმისაწდომია**

სისუფთავე და კარგი სამსახური

0—1

ვკისრულობ სოფლის და ქალაქის მამულების

## დამირავებას და გადამირავებას

ადრესი: г. Тифлисъ ул. Бѣлинскаго, бывш. Кирпичная д. № 19. кв. кн. Херхеулидзе.

ნახვა შეიძლება ყოველ დღე, დილის $8^1/_2$—10 საათამდის—საღამოობით 5—7 საათამდის. შეიძლება წერილობითაც.

## ზედამხედველი კომიტეტი
ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკისა

წესდების 82, 83, 84, 85 და 86 მუხლების თანახმად აცხობინებს მესხებელებს, რომელთაც წაღებული აქვთ სესხი ერთმანეთის პასუხისმგებლობით, რომ ქვემოთ აღნიშნულ დღეებში დილის 10 საათზე, ბანკის შენობაში ქ. ტფილისში დანიშნულია საარჩევნო კრებები 1909—1911 წლებისთვის 105 წარმომადგენლის ასარჩევად. პირველ კატეგორიისა ამა წლის 26 თებერვალს (35 კაცი), მეორე კატეგორიისა 17 თებერვალს (35 კაცი) და მესამე კატეგორიისა 28 თებერვალს.
რამდენი მსესხებელიც უნდა მოვიდეს საარჩევნო კრებები რაინც შესდგეს, იმ პირთა სიები, რომელთაც უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ წარმომადგენლები არჩევაში განცხადების დღიდან გამოკიდულია ბანკის შენობაში: ამ სიებიდან გაიგება, ვინ რომელ კატეგორიაში მოთავსებულია.

## ქუთაისის სასოფლო სამეურნეო ამხ.
# კოლხიდა
დაიწყეს წადება სხვა და სხვა **დამყნილ ვაზისა**
საჭირო ცნობების და პრეისკურანტების მიღება შეიძლება გამ. **გ. მ. ჩივაძისაგან.**
0—1

კახეთის ნამდვილი
**ღვინო**

„ძმობა“
0—1


## ტფილისი 9 თებერვალი

„ქართველ ინტელიგენციას საერთოდ და განსაკუთრებით ქართველ პუბლიცისტებს ისე არაფრისთვის არ უძგერთ გული, როგორც პოლემიკისთვის... საპოლემიკო ჟინის ასე უზომოდ განვითარების მიზეზი გახლავსთ ერთის მხრივ სიმსუბუქე და მეორეს მხრივ უვიცობა და გაუცნობლობა იმ საკითხებისა, რომლებზედაც გალაღებული ბაასობენ და სწერენ ჩვენებური პუბლიცისტები“...

ამას ამბობენ „დროების“ მწერლები იმის გამო, რომ „ივერია“, „რომელიც ამ წლის პირველ იანვრიდან ხელახლად გამოდის“, საჭიროდ სთვლის ჩვენი ცხოვრების ზოგიერთი საჭირ-ბოროტო საკითხი ხელახლად წამოაყენოს და მათი გადაწყვეტა ქართველებისთვის სასარგებლო კალაპოტში ჩააგდოს რაკი დღემდის ამ საკითხებში ქართველ ერის ფართო მასსები ჯერ კიდევ განიცდიან იმ ლოზუნგების გავლენას, რომელიც ჩვენში მომქმედმა პოლიტიკურმა პარტიებმა წამოაყენეს, ამიტომ ჩვენ იძულებული გავხდით ამ ლოზუნგების ხსენებას რაიც „დროებას“ საპოლემიკო ჟინით გამოწვეული ოინი ჰგონია.

გასარკვევი—მიწის საკითხი არის.

ჩვენ ვაცხადებდით, რომ „საჭიროა ჩვენში მომქმედმა პოლიტიკურმა პარტიებმა ამ საკითხზე ხმა ამოიღონ, საჭიროა ქართულ გაზეთების ფურცლებზე გამოცხადდეს მათი აზრი იმის შესახებს, თუ როგორ უნდა მოიქცეს გლეხი, იყიდოს მიწა, თუ მუქთად მის დასაკუთრებას უცადოს“, (ივ. № 2).

ამ შეკითხვას პასუხს ორ გაზეთში ველოდით,—ვფიქრობდით, რომ ორივე ჩვენში მომქმედი პოლიტიკური პარტია—ს.-დემოკრატები და ს.-ფედერალისტებიც—თავიანთ აზრს გამოსთქვამენ და ამით საერთო მოქმედების მოწყობას გააადვილებენ, ამ საერთო მოქმედების აუცილებლობა კი საქმის სიდიადით არის გამოწვეული.

ს.-დემოკრატიამ მართლაც ოდნავ გამოსთქვა თავისი აზრი, ს.-ფედერალისტები კი სდუმდენ. ამიტომ, რაკი „დროებაში“ ველოდით მათ პასუხს, დავწერეთ:

„დროება“ სდუმს, ის დროება, რომელიც ქართველების ეროვნულ ინტერესების დაცვას კისრულობს და რომელშიაც ვერ გაგვიგია, სოციალიზმი აქვს ეროვნებისთვის აღებული, თუ ეროვნება სოციალიზმისთვის. გაზეთი სდუმს, თითქო მას ამ საკითში ჯერ არ ჰქონდეს გამორკვეული თავისი შეხედულება, თითქო ეს საკითხიც მნიშვნელოვანი და მის ყურადღების ღირსი არ იყოს“.

„სდუმს იმიტომ, რომ წინააღმდეგობაში გახვეულია: ხედავს, რომ ძალით დასაკუთრებას ქართველებისთვის ხეირი არ მოაქვს, მაგრამ ვერ ბედავს და ამას აშკარად ვერ ამბობს, რადგანაც ყიდვა თუ გამოაცხადა საჭიროდ, ამითი თავისი წარსულიც უნდა უარჰყოს და თავის მოწინააღმდეგე ს.-დემოკრატების საყვედურშიაც ჩავარდეს.“ (ივ. № 3)

ბოლოს „დროებამ“ ხმა ამოიღო და გამოაცხადა, ყველაფერში ამ ჟამად თავისუფალი მოქმედება შესაძლო და საჭიროც არისო, მიწის საკითხშიაც ასეთივე თავისუფალი მოქმედება გამოგვადგებაო.

ასეთი პასუხი ჩვენ საკმარისად ვერ ვცანით და ვწერდით: „საჭიროა პარტიებმა გაბედონ და უთხრან ხალხს—იყიდეთ მიწა, მალე იყიდეთ, ნუ დაიზარებთ შრომას, ახლავე შეუდექით მოლაპარაკებას მემამულეებთან, რომ მალე შეიძინოთ ის მიწა, რომელიც გჭირიათ. ნუ გაქვთ იმის იმედი, რომ მიწა მუქთად ჩაგივარდებათ ხელში, ეს ოცნება ნუ დაგაბრკოლებთ, რადგანაც იგი ოცნება არის (ივ. № 4.)

ამის შემდეგ „დროება“ ამბობს—„ივერიის“ პუბლიცისტები უფრო დაგვიანებულად იმეორებენ იმას, რაც გაცილებით უფრო ადრე და უფრო საფუძვლიანად სხვებმა სთქვეს“ და წარსული წლის თავის ნომრებზე გვითითებს.

ჩვენ კიდევ ერთხელ გულდასმით გადავათვალიერეთ ეს ნომრები, მაგრამ შიგ ჩვენგან გამოთქმულ აზრის განმეორება ვერ ვპოვეთ. ან როგორ ვპოვებდით, როდესაც ჩვენ პრინციპიალურად არა სოციალისტურ ნიადაგზე ვდგევართ, კერძო საკუთრებას არ ვებრძვით და ამიტომ მავნებელად ვთვლით როგორც ს.-დემოკრატიულ ისე ს.-ფედერალისტურ პარტიასაც,—გაზ. „დროებაც“ ხომ ამ გზაზე არა სდგას, ან ეგება იგიც ორივე პარტიას ებრძვის და ჩვენს ცხოვრებაში სოციალისტობას უარჰყოფს?

ამ უარყოფას „დროების“ ფურცლებზედ არ შევხვედრივართ და უამისოდ კი როგორ უნდაო „დროების“ მწერლებს გარკვევით და გადაჭრით გამოაცხადონ, რომ მუქთად მიწის დასაკუთრებაზე ოცნება უსაფუძვლოა?

ასეთ გამოცხადებათ ისინი სთვლიან „ამირანის“ № 107-ში დაბეჭდილ წერილს, რომელშიაც სწერია შემდეგი: „ჩვენს ქვეყანაში მომქმედი სოციალისტური პარტიებიც კი **იძულებული** გახდენ **დროებით** უკანა წყებაზე გადაეყენებინათ სოციალისტური მიზნები და გლეხების მიერ მემამულეთაგან მიწების შესყიდვა გამოეტანათ **სადღეისო** მოქმედების დირექტივად“.

ამნაირად აქ იმავე შეხედულებას ვხვდავთ, რომელიც ს.-დემოკრატებში აღვნიშნეთ: „დღეს რეაქციაა გამეფებული, რევოლუციურად ძალით მიწის დასაკუთრება შეუძლებელია და მაშასადამე მხოლოდ ყიდვით შეიძლება მიწების შეძენა“. აქაც, როგორც ს.-დემოკრატებში, გლეხს ეუბნებიან,—დრო ისეთი დადგა, რომ ჯერ ჯერობით მუქთად დასაკუთრება არ გვიხერხდება და მიწაში ძალაუნებურად ფული უნდა გადვიხადოთო. ჩვენ ვამბობთ, რომ ასეთი სიტყვა ეწინააღმდეგება ჩვენს რჩევას, მუქთობაზე ლაპარაკიც არ იყოს, დასაკუთრება ოცნებად იქმნეს გამოცხადებული და მიწების ყიდვა დროებით ლოზუნგად, სადღეისო დირექტივად კი არ იყოს გამოტანილი, არამედ პრინციპიალურად ამ ყიდვის ნიადაგზე დადგეს ყველა, ვისაც მართლა სურს, მიწა გლეხების ხელში გადავიდეს.

„დროების“ მწერლების დროებითი ტაქტიკა ვერ დაავიწყებს მის მკითხველებს და სოფლის გლეხობასაც იმ საშინელ ტაქტიკას, რომელსაც ადგა ს.-ფედერალისტების პარტია იმ დროს, როდესაც „გარეშე პირობები“ მის თავისუფალ მოქმედებას არ აბრკოლებდენ.

ამ ტაქტიკის გასაცნობად მოგვყავს აქ ნაწყვეტები ერთ ფურცელიდან, რომელიც თავის დროზე ს.-ფედერალისტების სახელით იყო გამოცემული.

„რევოლუციონური პროლეტარიატი და მშიერ-მწყურვალე გლეხკაცობაც ბრძოლის ველზე გამოვიდნ... მათ მიატოვეს მყუდრო ცხოვრება და მთელი რუ ეთი **ტფილის სისხლით წითლად შეღებეს...** ვინც ხალხს არ ემხრობა, ვინც მასთან ერთად არ იქნება ხალხის მტრის წინააღმდეგი, იგი **უნდა მოისპოს**! ვაი იმას,—რაკი ბრძოლაში ძმა არ გაიტანა, დაე **გული გაეპოს** ამ გვარ ძმას! მით უარესი მისთვის, თუ იგი შეუგნებლად მოქმედობს... მაშინ, როდესაც **დინამიტის სუნი** ჰაერში დატრიალდება, როდესაც მისი საშინელი მომავლის მოასწავებელი ქუხილი **წარხოცს** მშრომელი ხალხის მტრებს, ვნახოთ.. თუ დაუშლიან პროლეტარიატს ბურჟუაზიის **ექსპროპრიაციას**... მალე, სულ მალე პროლეტარიატი ფეხულს ჩააბამს, **სისხლით ამოგანთხევინებს** მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ნაყლაპ სიმდიდრეს... **სიკვდილი თქვენ**“ და სხვა.

აი ამ გზაზე აყენებდენ უწინ ჩვენში გლეხობას, ამ გზით ურჩევდენ საქართველოში საქმის მოწყობას... და ამ ქადაგების გავლენით სოფლელი მართლაც გულს უპობდა თავის ძმას, დინამიტის სუნს ეძებდა და ცდილობდა სისხლით ამოენთხევინებინა მემამულეებისათვის ის მიწა, რომელიც მათ, „მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ჩაყლაპული“ აქვთ... ამ მემამულეთა სიკვდილით უნდოდათ მიწების ექსპროპრიაცია განეხორციელებინათ და მათის ტფილის სისხლით აპირებდენ წართმეულ მიწების გახიერებას...

**ამ** ტაქტიკას „დროება“ არსებითად უარჰყოფს თუ არა? მისგან მოყვანილი „ამირანის“ წერილი აღნიშნავს მხოლოდ, რომ სოციალისტური პარტიები დროებით უკანა წყებაზე აყენებენ სოციალისტურ მიზნებს და გლეხების მიერ მემამულეთაგან მიწების შესყიდვას **სადღეისო** მოქმედების დირექტივად აცხადებენ...

დიდი განსხვავებაა—მხოლოდ სადღეისო მოქმედების დირექტივად ვიღებთ ჩვენ რომელსამე ლოზუნგს, თუ მას საზოგადოთ პრინციპიალურად ვემხრობით. სადღეისოდ რომელიმე ლოზუნგის მიღება იმას ნიშნავს, რომ სხვა პირობებში ეს ლოზუნგი არ გამოდგება. გლეხების მიერ მემამულეთაგან მიწების შესყიდვა სხვა პირობებშიაც საჭირო და სავალდებულო არის, თუ არა, ამას „დროების“ მწერლები არ ამბობენ და ვერც იტყვიან...

სანამ ამის თქმა ვერ მოუხერხებიათ, მათ უფლება არ აქვთ გამოაცხადონ, ვითომც მათ უფრო ადრე და უფრო საფუძვლიანად სთქვეს ყოველივე ის, რაც ახლა „ივერიის“ პუბლიცისტები დაგვიანებულად იმეორებენ.

და დიდათ შემცდარი არიან, თუ ჰგონიათ, რომ „არც ერთს მათს მკითხველს აზრადაც არ მოუვა შეეკითხოს მიწის საკითხში სასურველ პოლიტიკის შესახებ,“ რადგანაც „ამ საგანზე რამდენჯერმე სრულიად გარკვეული შეხედულება ყოფილა გამოთქმული და არავითარი ეჭვი არ დაუტოვებიათ იმაზე, თუ რა გზას უნდა დაადგეს ხსენებულ საკითხში ქართველი გლეხობა“...

მკითხველი დაინახავს, რომ **დროებითად** გამოცხადებული პოლიტიკა, **სადღეისოდ** მიღებული დირექტივები ეჭვისთვის ადგილს სტოვებენ და სოფლელის გულში მიწების შემდეგში მაინც მუქთად დასაკუთრების იმედს არ სპობენ..

არ სპობენ მით უფრო, რომ სადღეისოდ ამა თუ იმ ტაქტიკის მიღება უწინდელ ტაქტიკის პრინციპიალური, არსებითი უარის ყოფა არ არის.

ეს უწინდელი ტაქტიკა კი, რამდენადაც იგი ზემოთმოყვანილ ფურცელში გამოთქმულია, მოითხოვდა მოწინააღმდეგესი მოკვლას, სისხლის დანთხევას და მამულების ძალით ექსპროპრიაციას.

რაკი ეს უწინდელი ტაქტიკა არსებითად უარყოფილი არ არის და რამდენადაც გლეხს გულში მომავლის იმედი უღვივის, რამდენად იგი ამ მომავალ ცვლილებას მოელის, მას დროებით მიღებული სადღეისო ტაქტიკა გარდამავლად და სისხლის ღვრითა და ძალადობით მიწების ექსპროპრიაცია შესაძლებლად უნდა ეჩვენებოდეს.

და ტყუილად ჰგონიათ „დროების“ მწერლებს, ვითომც „ხალხისადმი გაზეთის ფურცლებიდან დაძახება ხალხის სამსახური არ იყოს“, ვითომც „პარტიების გავლენა ამ ჟამად სრულებით არ აბრკოლებდეს სოფლად მიწების შეძენას“. ეს შეხედულება, რომელიც გავრცელდა ხალხში „გაზეთების ფურცლებიდან“ და სხვა ფურცლებიდანაც, უნდა მოისპოს, ხალხის აზროვნებას სხვა მიმართულება უნდა მიეცეს, სოციალისტური შორეული იდეალების სადღეისო ტაქტიკაში გადატანა უნიადაგო ოცნებად უნდა იცნოს ხალხმა და მან უნიადაგო ოცნება წინ არ უნდა წარიმძღვაროს არც ახლა, რეაქციის დროს, არც იმ შემთხვევაში, თუ მას ძალა დროებით ხელში ჩაუვარდა და არსებულ პირობების შეცვლა ოდნავ მაინც მის სურვილზე დამოკიდებული შეიქმნა.

უნდა შეიცვალოს ხალხის ფსიხიკა, მისი მისწრაფებანი, და საამისოდ სწორედ გაზეთებს მართებთ მკითხველებთან ხშირ-ხშირად ბაასი, პოლიტიკური პარტიები ვალდებულნი არიან ხალხს სინამდვილე აჩვენონ და ოცნება სინამდვილედ არ დაანახონ.

ტაქტიკის დროებით შეცვლა ხალხში აზროვნების მიმართულებას ვერ შეცვლის, გლეხების მიერ მემამულეთაგან მიწების შესყიდვის **სადღეისო დირექტივად** გამოცხადება პასუხს არ იძლევა ჩვენ შეკითხვაზე, გლეხმა იყიდოს მიწა, თუ **მუქთად მის დასაკუთრებას უცადოს?**

ვარწმუნებთ „დროების“ მწერლებს, რომ ჩვენ პოლემიკისთვის გული არ გვიძგერს, საპოლემიკო ჟინის განვითარება არ გვალაპარაკებს, როდესაც გვინდა ქართველი ერი სიზმარეთიდან საქამს დაბრუნდეს და თანამედროვე ცხოვრებას თვალხილულად დაუხვდეს.

ნუ ეძებენ ჩვენში „უვიცობას, სიმსუბუქეს და გაუცნობლობას ამ საკითხებისა, რომლებზედაც გალაღებულად ვბაასობთ“,—საკუთარ შეცდომების აშკარად საჯაროდ გამოცხადება ხალხისადმი უკეთეს სამსახურად ჩაეთვლება ადამიანს, ვიდრე აღძრულ საკითხის ჩაფუჩეჩება.

და ეს საკითხია,—იყიდოს გლეხმა მიწა, თუ მუქთად მის დასაკუთრებას **უცადოს**,—ეს მომავალი მუქთად დასაკუთრება ოცნებად იცნოს, თუ არა, ყიდვის პოლიტიკა მხოლოდ **სადღეისო** დირექტივად მიიღოს, თუ საზოგადოთ შემდეგშიაც მხოლოდ ყიდვით და საკანონმდებლო გზით ისურვოს მიწის საკითხის მოწესრიგება.

**კ. თუმანიშვილი.**

## გაკვრით გამოკვრით
II

გადმოიარა შავმა ღრუბელმა, შავი ფიქრებით მობურა რაზმელები და ხალხმაც მათ შავი რაზმი უწოდა.

მათი მთავარი შტაბ-კვარტირა ოთარშენი გახდა, პატარა შტაბკვარტირა აბელშენი, მათი კამანდირი დიპლომიანი ზუბიკო, როტნი კამანდირი თავადები გიგუშა და კიაზოშვილი, ფელდფებელი აზნაური კოტე, კაშევარი თავ. არჩილი, კაპტენარმუსი თავადი ალექსანდრე, ეფრეიტორები: სტუდენტები კურდღელაშვილები,—სრული, მრავალ რიცხოვანი, ძლიერი და სახელოვანი ბატალიონი შესდგა. ამბობენ, ამ რაზმმა მთელ მაზრას დიდი თავზარი დასცა. ნამეტნავად კი გლეხ-კაცობას... ერთ დღეს შეყრილან თავზარდაცემული გლეხები და გადაუწყვეტიათ, ამ რაზმს უნდა შევებრძოლოთო, დაუარსებიათ კიდევ უფრო ძლიერი რაზმი, რომელსაც სახელად წითელი რაზმი დაარქვეს.

წითელი რაზმი შავ რაზმს გამოვკამათა, შავი რაზმიც წითელ რაზმს დაზდევდა. პირველი შეტაკება ორივეს სოფელ ავნევთან მოუხდა, მეორე შეტაკება სოფ. დგვრისთან, მესამე სოფ. ერგნეთის მინდორში, მეოთხე სოფ. რუისთან, მეხუთე, მექვსე, მეშვიდე და სხვა კიდევ სხვა და სხვა სოფელთან. ერთი ასეთი შავალითიც მოხდა სოფ. აბელშენში: შუაღამე იყო, შავრაზმელებს თავიანთ პატარა შტაბკვარტირაში ეძინათ; მათმა პატრულებმა გაიგეს, რომ ვიღაც ცხენოსნები მოდიან სოფ. საღოლაშენიდან იმათ შტაბკვარტირისკენ. ხელი ჰკრეს თოფებს შავრაზმელებმა და სროლა დაიწყეს. ამ მგზავრებმაც სროლით გასცეს პასუხი, ბოლოს გამოირკვა, რომ ეს მგზავრებიც შავირაზმელები ყოფილან.

წითელი რაზმი ცდილობდა თავადიშვილი გაენადგურებინა, ღალა არ მიეცა, რაც ჰქონდა მემამულეს, წაერთმია და სხვა და სხვა. შავირაზმელი კი ცდილობდა კუჭი გაეძღო როგორმე,—კამანდირმა ზუბიკამ ბრძანება გასცა,—ყველა სოფლები მოიარეთ და პროპაგანდისტები დაიჭირეთ და აქ მომიყვანეთო. ამ ბრძანებას სასტიკად ასრულებდენ, ყველა გამვლელს იჭერდენ და შტაბ-კვარტირაში ბრძანებელთან მიჰყავდათ, კამანდირი ზუბიკო, სავარძელში გამოჭიმული, მოყვანილს მის ვინაობას გამოჰკითხავდა და თავის ბრძანებასაც იტყოდა, ან; გაუშვით, ეს დამნაშავე არ არის, ან: გაამათრახეთ და ისე გააგდეთ, ან: ბნელ ოთახში დაამწყვდეთ და ერთ კვირაში ისევ აქ მომგვარეთ და სხვა და სხვა.

დიდი შურისძიება და მტრობა ჩამოვარდა გლეხებსა და თავადებს შორის. ბევრი თავადი შეშინდა და გაზეთებში გამოაცხადა, თავადობაზედაც ხელს ვიღებ და მთელი ჩემი მიწა-ადგილი გლეხებისათვის მიჩუქებიაო.

სოფ. კნოლევში არის ერთი თავადი დუშიკო, ამან გამოაცხადა; სუყველაფერი მიჩუქებია გლეხებისთვის, მხოლოდ ჩემთვის ვიტოვებ სახლკარს, ვენახებს, სახნავ მიწებს, ტყეებს, წისქვილს, ყოველ უძრავ და მოძრავ ქონებას, ჰაერს და წყალსაც. ასეთ საჩუქრისათვის გლეხებმა თავად დუშიკოს მადლობა გამოუცხადეს და თანამგრძნობთა სიაში ჩარიცხეს.

ერთმა თავადმა გედევანიშვილმა გამოაცხადა, ჩემი და სხვისიც გლეხებისთვის მიჩუქებია, ოღონდ საქართველოს კი ეშველოს რამე. ბოლოს გამოაშკარავდა, რომ ამ გედევანიშვილს ყველაფერი დაგირავებულ გადაგირავებული ჰქონია და ეს დაგირავებულიც დიდი ხანია სხვის ხელში გადასულა.

ბევრი თავად-აზნაური და გლეხიც ამოხოცეს, გაძარცვეს, დასწვეს და სხ. და სხვა. აი სხვათა შორის რა მოხდა, სოფ. ახალქალაქში უცებ დაიკარგა თავ. გრიგოლ იოსამისძე თარხან-მოურავი. ამბობენ გახურებულ საკირეში შეაგდეს და იქ ამოსწვესო. სოფ. ლამისყანაში მოჰკლეს ქსნის მთლობელი თავ. კოლა ერისთავი. მოჰკლეს აგრეთვე სოფ. კასპის მებატონე თავ. გენო ამილახვარი. სოფ. მეჯვრისხევის გზაზე თოფი ახალეს ჰკვიან და მშრომელ თავადს კოტე ერისთავს. სოფ. რეხაში გადასწვეს თავ. ალიკო ერისთავი; როცა მის სახლს ცეცხლი ეკიდა, მთელმა სოფლის გლეხკაცობამ უეცრად თავი მოიყარა და ყოველი ღონისძიება იხმარა, რომ ცეცხლი ჩაექრო და თავადის მთელი ქონება გადაერჩინა. ასეც მოხდა კიდეც. დაბა ცხინვალში პირის სახე გაუხვრიტეს თავ. აპოლონ მაჩაბელს, რომელსაც შავ რაზმში უპირველესი ადგილი ეჭირა. სოფ. ქვემო ნიქოზში ადგილობრივ შეძლებულ თავადიშვილს ზაქ. ფავლენიშვილს სამჯერ დაეცნენ და სამჯერვე გაძარცვეს. მეორე დაცემაზე გაძარცვის გარდა დასჭრეს კიდეც. მესამე დაცემაზე კი თავ. ზაქარია თავის მეუღლითურთ ფანჯრებში გასახტნენ, სიმინდებში მიიმალნენ და ამით თავს უშველეს. სოფ. დვანში მოჰკლეს თავ. იასონ ფავლენიშვილი.

სოფ. ოქონაში მოჰკლეს თავ. ფალავანდიშვილი. სოფ. საცხურში გადასწვეს თავ. ლადო ხერხეულიძე. სოფ. აბისში გადასწვეს უზარმაზარი შენობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავ. როსიკო ამირაჯიბისა და გადამწვარზე ქუთნები გადაატარეს. სოფ. ფცაში მოჰკლეს შავი რაზმის თანაგრძნობი თავ. ლევან ამირაჯიბი, აქვე სულ მთლიანად გადასწვეს დიდი ქონების მქონე თავ. დავით ბაგრატიონ დავითაშვილი. სოფ. კოდიდან აბარგეს თავ. სოსიკო თარხნიშვილი. ამის სახლში დარჩა მხოლოდ მხნე კაცი მისი შვილი ილიკო.

დაატყო ილიკომ, რომ გლეხებთან კავშირი საჭიროა, შეუთვალა გლეხებს, ამიერიდან ძმურად და ტკბილად ვიყოთო. ჩვენში შური და მტრობა ნუღარ იქმნებაო,—მამა ჩემი ხომ მოგშორდი გლეხებისგანაც პასუხი მიიღო,—ბატონი ბრძანდები დღეიდან მეგობრები ვიყოთო.

ასეთმა პასუხმა ილიკო გაახარა, დაჰკლა რამდენიმე ღორი, გამოაცხო რამდენიმე თორნეს პური, გაავსო ღვინით რუმბი, დაბარგა ურემი, თვითონვე მეურმეთ დადგა, მივიდა გლეხებთან და წინ სუფრა გადაუშალა.

გაიმართა ქეიფი, დაღამდა კიდეც, გლეხებმა მასპინძელი ილიკო წამოაქციეს, ყელი გამოსჭრეს, თავმოჭრილი მისსავე ურემზე დასდეს, კამბეჩები შეაბეს და შინ გაისტუმრეს.

კამბეჩებმა თვითონ მიიყვანეს თავმოჭრილი გვამი ბოსელთან.

სოფ. დვანში თავ. ავალიშვილის ცოლს შუაღამისას დაეცნენ რამდენიმე შეიარაღებული, ამბობენ, რაზმელებიაო და თექვსმეტჯერ გააუპატიურეს საცოდავი ქალი.

ბევრი ასეთი რამეები მოხდა გორის მაზრაში. ამ ბოროტმოქმედებას შავი რაზმი აბრალებდა წითელ რაზმს და წითელი რაზმი კი შავ რაზმს ..

მკითხველმა თვითონ გაიგოს, რომელი საქმე ვინ ჩაიდინა, ჩვენ ამის გამოკვლევას აქ აღარ შევუდგებით.

იღბალზე 1906 წ. შემოდგომა მიიწურა და ხეებს ფოთლები გასცვივდა. ქარიშხალი ამოვარდა, დართვილა კიდეც მინდვრები და ვენახები, აქერ თოვლიც გამოჩნდა, ერთის სიტყვით ძალიან აცივდა ოთარშენის და აბელშენის მინდვრებში. ამ ექვსასმა შეიარაღებულმა დამშეულმა კაცმა თავშესაფარებელი საზამთრო ბინა ვეღარ იშოვნა და კანტი კუნტად გაიფანტა. ამბობენ მომეტებულნი ქ. თბილისში ჩამოვიდენ. წითელი რაზმი კი პატარ-პატარა ჯგუფებად განაწილდა და ზოგიერთმა მათგანმა ამგვარ ბოროტმოქმედებას თავი მაინც არ დაანება.

ამბობენ მომეტებული მათგანი ციხეებში გამწკრივებულნი არიანო

ამ დაფანტულმა ექვსასმა კაცმა დიდხანს იხეტიალა ტფილისში და სხვა და სხვა ქალაქებში. თუმცა მე არ მჯერა მაგრამ ამბობენ ექსპროპრიაციებშიაც ერივნენ. მათ შორის ერთი ოთხიოდე ტფილისშიაც დაიჭირეს ძარცვა,-გლეჯის გამო.

გაჰქრა შავი ღრუბელი, ცა ისევ მოიწმინდა და ნელნელა ეს ექვსასი კაცი თავთავის სახლს უბრუნდება და ბევრიც მათგანი უკვე დაბინავდა.

სასიამოვნოა, რომ მათი და გლეხების დამოკიდებულება თან და თან უკეთესი შეიქმნა, თუმცა გულში კიდევ ბევრი ღვარძლია და უწინდელი მტრობა სრულიად დავიწყებული არ არის.

ეს არის მოკლე შავ და წითელ რაზმების ამბავი გორის მაზრაში. რაც შემეძლო მიუდგომლად ავწერე. ამას კიდევ ბევრი აკლია, ვარწმუნებ კი მკითხველს, რომ აქ არაფერი არ გადამიჭარბებია.

ზემო ქართლის აღწერას კვლავისთვის დავპირდები მკითხველებს,

**ერგნელი**

## პატარა ფიქრები.

უკანასკნელად ჩვენ იმ უცხო ქარიშხალზედ გვქონდა ლაპარაკი, რომელმაც საღი გონება წალეკა და ხალხი თავისუფალ მოქმედებას გადააჩვია...

ისე თუ ისე ჩვენში გავრცელდენ ერთ გვარ ჯურის ადამიანები, რომლებიც ამტკიცებდენ, რომ ეროვნული საკითხი ბურჟუაზიულია და არა პროლეტარიულიო და, როგორც ამ გვარს, მას რასაკვირველია ყოველის მხრით და ყოველ ნაირათ სდევნიდენ.

ჩვენთვის რაღა თქმა უნდა ყოველთვის ცხადი იყო, რომ შეგნებულ დემოკრატს, თუნდაც იგი სოციალისტი იყოს, არავითარი უფლება არა აქვს გვერდი აუხვიოს ადამიანის განთავისუფლების საქმეს ყოველ მხრივ.

თუ დემოკრატია წინააღმდეგი არ არის ხალხის ჩაგვრისა, შეუძლებელია რომ იგივე დემოკრატია ეწინააღმდეგებოდეს ერის განთავისუფლებას და ამით ხელს უწყობდეს ეროვნულ ჩაგვრას.

მართალია ჩვენი სოციალისტები ამას ახლაც დიდათ გაიკვირვებენ და შეეცდებიან ამის დამტკიცებას, რომ ისინი ეროვნულ ჩაგვრის წინააღმდეგნი მუდამ არიან და იყვნენ, მაგრამ თუ ასეა, მაშინ ჩვენ არ გვესმის, რითი აიხსნება ის იმათის მხრით ამ ეროვნულ კითხვის საზოგადოდ ასე სასაცილოდ აგდება და მასზედ ურცხვი ოხუნჯობა.

ვის დაჰკარგვიან და ვინ არიან ეს პლეხანოვი და მის მზგავსი რუსის სოციალისტები, რომელნიც ჩვენს ერს თვით გამორკვევის უფლებას აძლევენ და ამ ერის ისტორიას უკუღმა ატრიალებენ?..

ნუ თუ სასაცილოდ არ უნდა მიგვაჩნდეს ის გარემოება, რომ ჩვენი ერი, რომელსაც ასი ათას წელზედ მეტი უცხოვრია და თავის ვინაობა, როგორც ეროვნული აგრეთვე ტერიტორიული დიდი ხანია გამორკვეული აქვს, რუსეთის სოციალდემოკრატიის ლიდერების და მეთაურებისაგან ნებართვას ილებდეს თვით გამორკვევის შესახებ?.. მაშ რა იყო და რა არის მიზეზი ამ გვარ აბუჩად აგდებისა იმ კითხვისა, რომელსაც „ჩვენები“ ბურჟუაზიულ კითხვას უძახიან?

აქ ერთი მოსაზრებაც იბადება, რომელსაც **გარეგნულად** სერიოზული საპასუხო ხასიათი აქვს.

ზოგიერთებს საბუთათ ის მოჰყავთ, რომ ეგრედ წოდებული „ინოროდცები“ (არა რუსები), რომელნიც რუსეთის 53%-ს შეადგენენ, სრულიად საკმარისნი არიან „რუს პატრიოტებთან“ და ბურჟუაზიასთან საბრძოლველადო. „ჩვენები“ ირწმუნებიან, „რუსის პატრიოტები და ბურჟუაზია ამ გვარ პირობებში ვერ გასწევს ბრძოლას და ვერაფერით ვერ მოახერხებს სხვა და სხვა ერების დაჩაგვრასო“.

ეს აზრი სიმართლეს მოკლებულია და ყოვლად უნიადაგოთ უნდა იყვეს გამოცხადებული.

„ინოროდცებს“ ბრძოლას უწევს თვით რუსეთი, როგორც სახელმწიფო, და არა რუსეთის ერი, ორგანიული რუსეთი და მასთანაც სხვა და სხვა რუსეთში მყოფი პატარა და დაჩაგრული ერები ამ ჟამად სრულიად არ შეადგენენ ისეთს მჭიდრო კავშირს და ორგანიულ ერთეულ ძალას, რომ მას შეეძლოს ბრძოლის გაწევა იმ გვარ მძლავრ ძალასთან, როგორიც არის რუსეთის ბიუროკრატია თავისი დიდძალი ჯარით, ზარბაზნებით და ყოველი იარაღით.

და რადგანაც ეს ძალა არსად არ მოიპოვება და ბრძოლა რუსეთთან შეუძლებელია, მაშასადამე ჩვენ მოვალენი ვართ ყოველი ღონისძიება ვიხმაროთ, რომ მჩაგვრელ ცენტრალისტობას წინ აღვუდგეთ და ეროვნული თვითმართველობა დავიცვათ.

ამის შემდეგ განა სასაცილო არ არის, კაცი სულ მუდამ იმას გაიძახოდეს არა ირ გვინდა აღვძრათ ეროვნული კითხვა, რომელსაც მხოლოდ ბურჟუაზია ეტრფიალებაო?

განა შეიძლება კი წარმოიდგინოს კაცმა, ვითომ ყოვლად შემძლე რუსეთის ბიუროკრატია ქართველს ვერაფერს დააკლებს, თუ მას თვითმართველობა არ მიეცით და ამ უკანასკნელ შემთხვევაში კი უეჭველად ქართველი უმრავლესობა უმცირესობას დასჩაგრამსო?

ულმობელი ცხოვრება და დრო, რომელიც არ დაემორჩილება ამ გვარ ისტორიის უკუღმა ტრიალს, ერთხელაც იქნება ჩააყენებს ჩვენზე დრგმით თვალ ახვეულ დემოკრატებს იმ კალაპოტში, რომელშიაც უნდა იმყოფებოდენ, მაგრამ ეხლა კი ყოველი სვინდისიან ქართველ კაცის ვალია მედგარი ბრძოლა, ბრძოლა დაუღალავი გაუწიოს იმ პირებს რომელნიც ერის წინსვლას და განვითარებას საშინლად ხელს უშლიან და აფერხებენ.

**აბისელი.**

## ახალი ამბები

✦ **ვასო აბაშიძის ავადმყოფობა.** ჩვენი ნიჭიერი არტისტი ვასო აბაშიძე სამწუხაროდ ისევე მძიმე ავად გამხდარა და ლოგინად ჩავარდნილა. ექიმი ამბობს, რომ უთუოდ ჰაერის გამოცვლა სჭირია. ავადმყოფს კი არავითარი სახსარი არ აქვს რომ ექიმის ბრძანება შეასრულოს, რადგანაც პურის ფულიც უჭირს. იმედია ჩვენი საზოგადოება ყურადღებას მიაქცევს თავის საყვარელ არტისტს.

✦ „ჩვენი საქმეს“ რედაქცია, მუშათა ინტერესების დამცველი და უქმე დღეებში დასვენების მომხრე, როდესაც ეს სხვა გაზეთს ეხება, თვითონ პარასკევშაბათსაც ამუშავა ამწყობები დ გაზეთი გამოსცა. როგორც ამბობენ ამის გამო დიდი უკმაყოფილება ტრიალებს მუშებში.

✦ გამოვიდა „ნაკადულის“ იანვრის ნომერი (მცირე წლოვანთათვის). ნომერი მშვენიერად არის შედგენილი. დანარჩენი ნომრებიც ამ დღეებშივე გამოვა. შინაარს შემდეგ ნომერში მოვიყვანთ.

ტფილისის სახაზინო თეატრში 16 თებერვლიდან დაიწყება რუსული წარმოდგენები, (ფარსი) ბ. საბუროვის ხელმძღვანელობით.

✦ ტფ. გენერალ-გუბერნატორის ახალ განკარგულების თანახმად 3000 მანეთამდე დაჯარიმდება ის სახლის პატრონი, რომელიც თავის სახლს არ გაუკეთებს წარწერას, ნომერს და ფარნებს დროზე არ აუნთებს.

## დეპეშები

**პეტერბურგი.** პოლკოვნიკი ლიახოვი „ნოვოე ვრემიაში“ აცხადებს სპარსეთიდან გაძევებულ ბ. პანოვის წერილის გამო, რომელიც გაზ. „რეჩში“ დაბეჭდილიყო: „ბ. პანოვი კაზაკთა რაზმში არ მიმიწვევია და შემდეგ შახის ბაღიდან არ გამიგდიაო. ამიტომ ეს ცნობები ან შემცდარი, და ან ბ. პანის მიერ მოგონილი არისო.

ამავე კაზაკთა რაზმის აფიცრები „ნოვოე ვრემიაში“ აცხადებენ თავიანთ გულისწყრომას იმ ცრუ ცნობების გამო, რომელიც რუსულ გაზეთებში იბეჭდება ამ რაზმის მოქმედების შესახებ.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტო აცხადებს, სოფიიდან გავრცელებული ხმა, ვითომ ევროპის სახელმწიფოებს ბოლგარიის დამოუკიდებლობა მიეღოსთ, სიმართლეს მოკლებული არისო. ჯერ ჯერობით ეს სახელმწიფოები არ სცვლიან თავიანთ აზრს ხსენებულ საკითხის შესახებ.

**ვენა.** აქაური გაზეთები უარყოფენ ცნობას, ვითომც რუსეთს, საფრანგეთს, და ინგლისს ბოლგარია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ეცნოსთ, ავსტრია ალბად ამ დამოუკიდებლობის წინააღმდეგი არ იქნებაო.

**სტამბოლი.** მარშალი რაუფ ფაშა გარდაიცვალა. სალონიკაში ორი სამხედრო გემი წავიდა, რათა ხელი შეუშალოს იარაღის ნაპირზე გადმოტანას: პარლამენტმა მოიწონა მთავრობის წინადადება 4,700,000 გირვანქის სესხად აღების შესახებ.

**კაირი.** ხედივმა ბრძანება გასცა აქაურ უნივერსიტეტის დახურვის შესახებ. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა თხოვნა წარადგინეს და ითხოვეს მისი ხელახლად გახსნა, რადგანაც უნივერსიტეტს დიდი მნიშვნელობა აქვს მაჰმადიანებისათვის.

## ჩემი დღიური

მკითხველებმა იციან ის თითქმის დაუჯერებელი ამბავი, რომელიც ამას წინეთ ტფილისში მოხდა: ქართველ ინტელიგენციის ერთმა ჯგუფმა ჟურნალის გამოცემა განიზრახა, საქმე ყველას გამოჩარხული ეგონა: ფული იყო, ვიღაც ქველმოქმედისაგან დაპირებული, საქმის გაკეთების სურვილი სჩანდა, მაგრამ საკვირველი ის არის, რომ მიუხედავად ამისა საქმე მაინც გაუკეთებელი დარჩა.

ჩვენ ვეცადეთ ამ გაუგებარ ამბავის ახსნას, ჩვენ ვამბობდით, რომ ამ შემთხვევაში საქმე ჩაშალა ქველმოქმედებამ, რომ უდროვოდ აღმოჩენილი საქველმოქმედო დახმარება ახლად დაწყებულ საქმეს ისევე ღუპავს და ასუსტებს, როგორც უდროვოდ მიღებული წამალი ადამიანის სხეულს ასუსტებს და ხშირად სიცოცხლესაც აშორებს...

ჩვენ ვამტკიცებდით, რომ მხოლოდ ის საქმეა მკვიდრ ნიადაგზე დაყენებული, რომელიც ქველმოქმედების იმედით არ რჩება და მხოლოდ საკუთარის ძალით აპირებს არსებობის შერჩენას.

ეს ქველმოქმედების იმედი კი საუბედუროდ მთელ ქართველ ერის კერძო და საზოგადო ცხოვრების დამახასიათებელია..

დააკვირდით ქართველების პოლიტიკურ იდეალებს წარსულში და ახლაც. დიდი ხანია წავიდა ის დრო, როდესაც საქართველო და ქართველი ერი დამოუკიდებლად ცხოვრობდენ, სხვების წინაშე მონურად ქედს არ იხრიდენ და სხვების იმედით არა რჩებოდენ... უკუღმართად დატრიალდა ქართველის ბედი, ათასნაირმა პოლიტიკურმა უბედურებამ ქართველი ერი დამოუკიდებლად მოქმედებას გადააჩვია და იმ გულში, რომელიც წინეთ მხოლოდ თავისუფლებისთვის ძგერდა, სხვა და სხვა ნაირი მონური მიდრეკილება აღზარდა... აი მაშინ იყო, რომ ქართველებმა აქეთ იქეთ ელჩების გზავნა დაიწყეს დახმარების სათხოვნელად, მაშინ იყო, რომ ჩრდილოეთისკენ გაიხედა საქართველომ და იქიდან შველის მოლოდინი დაიწყო... და სწორედ მაშინ ჩაესვენა ქართველების ვარსკვლავი: სხვისი იმედით დარჩენამ დაღუპა საქართველო და მას დამოუკიდებლობა მოუსპო.. სხვისი იმედებით დარჩენამ ქართველ ერის პოლიტიკური ცხოვრება იხალ კალაპოტში ჩააგდო, იმ კალაპოტში რომელიც ხუთავს და ავიწროვებს მის ეროვნულ განვითარებას და რომელიც უკანასკნელ სასიცოცხლო ძალებს უსპობს სხვის გვერდზე მყუდროების მონატრულ ქართველებს.

სხვას რომ აღარ გამოვეკიდოთ, ამ უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში ქართველი ერი თავის პოლიტიკურ ცხოვრებაში ან სულ გაჩუმებული იყო ან ხელგაშვერილი მოწყალებას ელოდა ჩრდილოეთიდან: ამ ასი წლის ისტორია სწორედ მოწყალების იმედის, მოწყალების მოლოდინის ისტორიაა და გვიჩვენებს, რისი მიღება შეუძლია მათხოვრად გამხდარ ერს, რომელიც საკუთარის ძალით თავის ცხოვრების შეცვლას არ ფიქრობს.

და თითქო ამ მათხოვრობის პოლიტიკის დასაგვირგვინებლად ამ რამდენიმე წლის წინეთ, როდესაც ქართველ ერის ერთი ნაწილი რუსეთთან ასი წლის ერთად ცხოვრებას დღესასწაულობდა, ქართველმა ერმა ახალი და ამ მოწყალება მიიღო მოწყალებით გული დაიჯერა და თავი დაიკმაყოფილა...

ას წელიწადზე მეტია რუსეთთან ვცხოვრობთ, ას წელიწადზე მეტია აღარ გვაწუხებს მტრის შიში, მყუდრო ცხოვრება მოგვეცა და შეგვეძლია მთელი ძალღონე, მთელი ნიჭი, ცოდნა და გატაცება ჩვენი ცხოვრების გაუმჯობესებას მოვახმაროთ,—ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში მის გაუმჯობესებაზედ ზრუნვა თითქის სავალდებულო გახდა,—განახლების სიომ რუსეთში დაჰბერა და საზოგადო ცხოვრების ასპარეზზე ახალი ძალები გამოიწვია,—მაგრამ ჩვენ ეს ზრუნვა ვერ მოვახერხეთ,—მათხოვრობას ჩვეულნი, მუდამ სხვისი იმედით მყოფნი, სხვისი ფეხის ხმის ამყოლნი, ახლაც ვერ გადავაგდეთ ის ჩვეულება, რომელიც ასი წლის განმავლობაში შევითვისეთ,—ჩრდილოეთიდან წყალობის მიღებას ველით იმ განსხვავებით კი, რომ უწინ თვითმპყრობელ მეფისაგან გვინდოდა წყალობის მიღება, ახლა კი დრო შეიცვალა და ჩვენი საიმედო სხვა და სხვა პარტია ან სათათბირო შეიქმნა.

რევოლუციის დროს ქართველებმა საკუთარ იდეალების წამოყენება ვერ გაცბედეთ იმის შიშით, ხომ რუსეთის პოლიტიკური პარტიები ამას იწყენენ და შემდეგ რეფორმებში დაგვივიწყებენ... გვეშინოდა, რომ ჩვენი იდეალების წამოყენება რითიმე შეავიწროვებს რუსეთში გაბატონებულ ერ...ების სრულუფლებობას, მას აწყენინებს, ჩვენზე გულს გაუტეხს და იმ არსებით უფლებებსაც ვერ მიგვაღებინებს, ურომლისოდაც ცხოვრების განახლება საფიქრებელი არ არის...

სწორედ ასევე მთხოვარიც გაჩუმებულია თავის სხვა და სხვა საჭიროებაზე, რადგანაც ეშინია, რომ მოწყალების მომცემს ამ საჭიროებათა დასახელება არ იამება,—და მხოლოდ არსებით პურს ახსენებს და უნდა ეს პური მიიღოს...

და როგორც მათხოვარი მხოლოდ პურს იღებს და თავის დანარჩენ ყოველნაირ მოთხოვნილებას ვერ იკმაყოფილებს, ისე ქართველი ერიც ვერასოდეს ვერ დაიკმაყოფილებს თავის ნაირ ნაირ ეროვნულ საჭიროებას, თუ მათ ხსენებას მოერიდა და მხოლოდ ძირითად უფლებებზე ლაპარაკი დაიწყო.

მოწყალება ყოველთვის მოწყალებად რჩება და ვერასოდეს ვერ გახდება ადამიანის უზრუნველმყოფელი. მოწყალება ყოველთვის მის მიმცემის სურვილზედ გუნებაზედ არის დამოკიდებული და ადამიანის ცხოვრების მუდმივ წყაროდ ვერ გახდება.

ასე პოლიტიკურ ცხოვრებაშიაც მოწყალება ვერ უზრუნველ ჰყოფს ამა თუ იმ ერის ეროვნულ ცხოვრებას და მის განვითარების წყაროდ ვერ გახდება.

საჭიროა დამოუკიდებელი მოქმედება, აუცილებლად საჭიროა ერმა თვითონ, იკისროს თავის ყოველგვარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და სხვისი იმედით დარჩენას გადაეჩვიოს... ეს საჭიროა განსაკუთრებით ქართველებისთვის, რადგანაც მათში უკანასკნელმა საუკუნემ მონური სილაჩრე აღზარდა და თავის მონურ ცხოვრებით მონურივე კმაყოფილება,— მხოლოდ არსებით პურზე ვზრუნავთ, მხოლოდ ძირითად პოლიტიკურ უფლებების ხსენებას ვახერხებთ!..

ცხოვრების რომელიმე სხვა დარგი ავიღოთ,—აქაც ქართველ ერს დამოუკიბლად მოქმედების უნარი აღარ აქვს. ავიღოთ ვაჭრობა და მრეწველობა,—ბევრია, განა, ქართველი, რომელმაც ამ საქმეში ნიჭი გამოიჩინა? ქართველი მსხვილი მრეწველი თითებზე ჩამოითვლება. ვიცით იტყვიან, ვითომც ჩვენ ამ მსხვილ ვაჭარ-მრეწველებს ვეთაყვანებოდეთ, არა-ჩვენ ველტვით და ვეთაყვანებით შრომის უნარს და სწორედ ამ უნარის უქონლობა ქართველ ერს ქონებრივად აქვეითებს და სხვის მონად ხდის. და რაკი ქართველების მონობა არა გვსურს, რაკი გვინდა მისი განთავისუფლება, რაკი ამ განთავისუფლებისთვის აუცილებლად საჭიროა, ქართველების ქონებრივი უზრუნველყოფა, რაკი ეს უზრუნველყოფა ვაჭრობისა და მრეწველობის განუვითარებლად არ შეიძლება, ამიტომ ჩვენ გვენატრება ეს განვითარება და უმისობა ქართველების დამღუპველი გვგონია.

ავიღოთ ჭიათურის შავი ქვის მაგალითი. ეს საქმე იმ თავითვე ქართველების ხელში იყო, მადანი ქართველებს ეკუთვნოდა, მაღნებში ქართველები მუშაობდენ, ქვას ქართველები ყიდდენ, წარმოიდგინეთ, ქართველებს საზღვარგარეთაც გაჰქონდათ ქვა გასაყიდათ, ერთის სიტყვით ქართველები ამ საქმეს ბატონობდენ და პატრონობდენ, პატრონობდენ მით, რომ შავიქვის მრეწველთა საბჭოც, რომელსაც დავალებული აქვს შავიქვის მრეწველობის თვალყურის დევნება და პატრონობა, ყოველთვის ქართველების ხელში ყოფილა.

რა გაარიგეს აქ ქართველებმა,—მრეწველობა დაღუპეს, ვაჭრობა შეაჩერეს, ერთმანეთის ქიშპობით ჯიბე დაიცარიელეს და ის საქმე, რომელსაც მთელი ხალხის გამდიდრება შეეძლო, უცხოელებს ხელში ჩაუგდეს. თან და თან მაღნებსაც იძენენ უცხოელები, იქ საკუთრად იწყებენ მუშაობას, საკუთარ მადანს გზავნიან საზღვარ გარეთ,—საკუთარ მართულის რკინის გზას აწყობენ, ერთის სიტყვით ეპატრონებიან საქმეს და იმედი აქვთ რომ მას ისევე გამოაბრუნებენ...

ჩვენ კი, ქართველები, მათის იმედით ვრჩებით და გვგონია, რომ დაგვაკმაყოფილებს ას ორიოდე გროში, რომელსაც ისინი ადგილობრივ მუშებია დღიურ შრომის ფასად გადაუგდებენ. უცხოელების საქმეში გაბატონება იმას მოასწავებს, რომ ამ საქმის მთელი მოგება ადგილობრივ ხალხის ხელში აღარ დარჩება და საზღვარ გარეთ, იქაურ კაპიტალისტების ჯიბეებში გადავა.

ქართველებმა ვერ მოვახერხეთ აქ საქმის გაძღოლა...

ჯერ რკინის გზის გამგეობისაგან მივიღეთ მოწყალება და ბაქნების და ვაგონების გასანაწილებლად განსაკუთრებულ წესების შემოღება გამოვითხოვეთ, შემდეგ მთავრობისაკენ გავიშვირეთ ხელი და თხოვნა დავიწყეთ: ბატონო, შეგვიწყალე, უსინათლო ვართ, ტარიფი დაგვიკელითო ამ მოწყალების იმედით ბევრი დრო დავკარგეთ, ბევრი საქმე არ გავაკეთეთ. და ბოლოს, —მიღებული მოწყალებაც რომ მცირედი გამოდგა, სასოწარკვეთილებაში ჩავვარდით და ახალ იმედის გამოძებნასაც ვერ შევუდექით...

საქმის უნარის განუვითარებლობა გამოწვეულია იმით, რომ მათხოვრობას და წყალობის მოლოდინს დაჩვეული ვართ,

ეს მოლოდინი გვღუპავს და ძირს უთხრის ჩვენს არსებობას.

ეს მათხოვრობა, წყალობის მოლოდინი ყველა ქართველურ საქმეს თან დასდევს. ბანკები, სხვა და სხვა საზოგადოებები, ყოველი ახლად დაწყებული საქმე უთუოდ სხვის დახმარებას მოელის.

ჩვენს ცხოვრებაში მათხოვრობის დამახასიათებელ მაგალითებს შემდეგ ნომერში მოვიყვანთ.

**მეთვალყურე**

## რუსეთის ცხოვრება

რუსეთის ცხოვრებამ უკანასკნელ წლების განმავლობაში ისეთი თავისებური და საშინელი სახე მიიღო რომ არ შეიძლება მას განსაკუთრებული ყურადღება არ მიაქციოს ყველამ, ვისაც გულით სურს ამ სახელმწიფოს გაძლიერება. ჩვენ არ ვამბობთ აქ პოლიტიკურ ცხოვრებას, რომელიც მეტ-ნაკლებად ყველას გაცნობილი აქვს, ჩვენ არ ვახსენებთ შინაურ პარტიულ ბრძოლას, მემარჯვენეთა აღვირახსნილობას, მათ შიმყოლ სხვა პარტიების მოქმედობას,—ამ ჟამად ჩვენ გვინდა მკითხველს გავაცნოთ ერთი მოვლენა, რომელიც უკანასკნელ წლების განმავლობაში რუსეთის დამახასიათებელი გამოდგა.

ჩვენ ვამბობთ იმ სისხლის მორევზე რომელშიაც სცურავს რუსეთი. ეს სისხლის მორევი თანდათან იზრდება, თან და თან უფრო ხშირი ხდება კაცის კვლა, თან და თან უფრო ხშირად ადამიანი ადამიანს წუთისსოფელს აშორებს და აქა-იქ თავის თავსაც არ ზოგავს. რუსულ გაზეთებში მოყვანილია ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი კაცის კვლა, ბავშვების მოკვლა და თავის თავის მოკვლა იყო ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში.

თავის მოკვლა ყოფილა 1886 წ.—1907, 1902 წ-3075. 1903 წ-3236, 1904 წ-3241, 1905 წ.-3074, 1906 წ.-3277 ამავე წლებში ყოფილა ბავშვების მოკვლა 835, 1486, 1755, 1337, 1600 და 1705, ადამიანის მოკვლა კი ისევ ამავე წლებში 2643, 8467, 10199, 10624, 18573 და 20033.

ამნაირად ამ ოცი წლის წინეთ რუსეთში წლიურად კაცის კვლის 2643 შემთხვევა ყოფილა, 1905 წელს კი—20033! კაცის კვლა განსაკუთრებ თ გახშირდა 1905 წელს შემდეგ, მას შემდეგ, რაც ერთმანეთს დაუპირდაპირდა ორი ძალა, ერთის მხრივ მთავრობა და მეორეს მხრივ კი ძალით სახელმწიფოს შეცვლის მოტრფიალენი უკიდურესი მემარცხენე პარტიები.

ძალის იმედით დაწყებული საქმე სისხლის დაუღვრელად არ მოხერხდებოდა და ამიტომ ამ პარტიების მიმდევრებს-სისხლის მორევის აზვიადება არ უნდა აწუხებდეს, ამდენ ადამიანის სიკვდილი არ უნდა აშინებდეს,—მათთვის ეს სისხლი, ამდენი მსხვერპლი, ის „ტყე იჩეხება-ნაფოტები სცვივა“-ა, რომელიც მათ არა ერთხელ ჩვენშიაც უთქვამთ.

მაგრამ ჩვენთვის ეს სიხლის ღვრა საშინელია, ჩვენ იმ აზრს ვადგივართ, რომ რევოლუციას უნდა ჰქმნიდეს შეგნება და არა ძალა. ხალხის უმეტესობას შეგნებული უნდა ჰქონდეს ცვლილების აუცილებლობა, გათვალისწინებული უნდა ჰქონდეს შემოსაღებ რეფორმების უპირატესობა და მაშინ ძველ წყობილების მომხრეები ვერაფერის საშუალებით ვერ მოახერხებენ ძველის დაცვას და ხალხისაგან გამოთქმულ სურვილის უყურადღებოდ დაგდებას.

რუსეთში რეაქციამ სწორედ იმიტომ გაიმარჯვა, რომ რევოლუციის მომხრეები თავიდანთ მომხრეთა ძალის იმედით იყვნენ და ძალით აპირებდნენ რევოლუციის მოხდენას, მაგრამ, რაკი ხალხის უმეტესობა გულგრილად ეკიდებოდა რევოლუციის ნამდვილ მიზნებს და მხოლოდ თავის დღიურ ვარამზე ფიქრობდა, ამიტომ რევოლუციის ძალა სუსტი გამოდგა და მთავრობამ კი მის ხელში დარჩენილ ძალის გამოყენებით აჯობა რევოლუციის.

ამ ძალის გამოყენებად მიგვაჩნია ჩვენ ის გარემოებაც, რომ სასამართლოს განაჩენით სიკვდილით დასჯა ასე გახშირდა რუსეთში. გაზეთების ცნობებს თუ დავუჯერებთ, ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში ოთხი ათას კაცამდის იყო სიკვდილით დასჯილი, ოთხი ათასი კაცის სახელი მოემატა იმ მოკლულთა სიას, რომელიც უამისოდაც უზომო არის.

ოთხი ათასი სიკვდილით დასჯილი, ამის გამოგენებაზე ვის არ დაუდგება ყალყზედ თმები, მით უფრო მაშინ, როდესაც გაიხსენებს, რომ ეს დასჯა სხვა და სხვა დანაშაულისათვის ხვდება ადამიანს, რომ ხშირად დამნაშავეს ყველა საშუალება არ ეძლევა თავი იმართლოს, რომ სამხედრო სასამართლოში დასჯის შემცირება ძნელია...

საშინელებაა... საშინელებაა მით უფრო, რომ თურმე ხშირად თვით პოლიციის მოხელეებიც მონაწილეობას იღებენ ამა თუ იმ ტერორისტულ საქმეებში, რაიცა აზეფის საქმემ ნათლად დაანახა რუსეთის საზოგადოებას.

რამდენიმე წლის განმავლობაში მსახურობდა ეს აზეფი პოლიციის დეპარტამენტში, რამდენიმე წლის განმავლობაში პოლიციას აწვდიდა საიდუმლო ცნობებს იმ პარტიის ცხოვრებიდან, რომლის მთავარ კამიტეტში ირიცხებოდა, რამდენიმე წლის განმავლობაში ამ პარტიის წევრებთან ერთად მონაწილეობდა სხვა და სხვა ტერორისტულ საქმეში, სხვებს აქეზებდა, საქმეს აწყობინებდა და ამნაირად მახეში აბამდა მაზედ დანდობილ პირებს...

ვინ იცის, რამდენი მისგან წაქეზებული ადამიანი გამოესალმა სიცოცხლეს, სასამართლოს განაჩენით სიკვდილით დასჯილი!?..- ვინ იცის, იმ ოთხი ათას დასჯილში რამდენია აზეფის და აზეფისთანა პირების მსხვერპლი...

სწორედ ამიტომ რუსეთის საზოგადოებამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია აზეფის საქმეს, მისი გამორკვევით უნდათ ცხად ჰყონ უწინდელ მთავრობის ზოგიერთი შეუწყნარებელი ხერხი, პოლიტიკურ პარტიებთან საბრძოლველად მიღებული, ხერხი, რომელიც აქა იქ ახლაც დავიწყებული არ არის და რომლის გამომხატველი იყო პარტიაში მონაწილეობის მიმღები პოლიციის საიდუმლო აგენტი აზეფი... უნდათ შემდეგში მაინც შეუძლებელად გახადონ პოლიციის მიერ ბოროტ მოქმედების პროვოკაცია, პოლიციის მიერ ამა თუ იმ ბოროტმოქმედების ჩასადენად ადამიანის წაქეზება...

პროვოკაცია თავის თავად საშიში და დასაგმობი საქმეა, ზნეობით სუსტ ადამიანის ხელში კი იგი ძირს უთხრის საზოგადოებრივ ცხოვრებას და შეუძლებლად ხდის ამა თუ იმ განხეთქილების მშვიდობიანად დაბოლავებას: პოლიციაში მ-სამსახურე პროვოკატორისათვის ასეთი მშვიდობიანი დაბოლოვება სასურველი არ არის, რადგანაც იგი ზედმეტად ხდის თვით პროვოკატორის მოქმედებას. პროვოკატორი ცდილობს მთავრობის მოწინააღმდეგე ელემენტები გამოამჟღავნოს მათის წაქეზებით ამა თუ იმ კვლელობაზე, გაფიცვაზე, შეტაკებაზე და სხვა რამ „გამოსვლაზე“.

პროვაკაციას რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში დიდი წილი უდევს და ახლა, როდესაც აზეფის საქმის გამოაშკარავებამ მთავრობისთვისაც შეუძლებლად ჰყო პრავაკაციის არსებობის გადაფუჩეჩება, რუსეთის საზოგადოება ემზადება და ირაზმება, რომ კიდევ ერთხელ მშვიდობიანად შეებრძოლოს ძველ წყობილების ბნელ ძალებს და რუსეთის შინაურ პოლიტიკურ ცხოვრებას ახალი მიმართულება მისცეს.

**ქ—ველი**

## დაბა-სოფლეში

**ქ. ოზურგეთი.** 19 იანვარს, ღამის 12 საათზედ ცეცხლი გაჩნდა მომრიგებელ შუამავლის ნ. თაყაიშვილის სახლშიდ, და სულ გადაიწვა, იქიდგან ცეცხლი გადავიდა მახლობელ პ. ხომერიკის სახლშიდ, მარა დროზედ მოსულმა ხალხმა ცეცხლი ჩააქრო და სახლი გადარჩა.

21 იანვარს ოზურგეთში ჩამოვიდა დრ. ქუთაისის გენ.-გუბერნატორი გენ.-მაიორი სლავოჩინსკი.

ახლად განახლებულ ქალაქის თვითმმართველობას მედგრად მიყავს ქალაქის საქმეები. აკეთებენ ბოგირებს, კირწყლავენ ქუჩებს, ამ მოკლე ხანშიდ დაიწყებენ თეატრის შენობას, აღებენ ქალაქის აფთიაქს, საავადმყოფოს, ქალების და ვაჟების გიმნაზიას და სხ... ვუსურვოთ მას წარმატება, ქალაქის საკეთილდღეოთ დაუზარებელ შრომისათვის.

მთელ აღმოსავლეთ გურიას მოედო საშიშარი საქონლის ჭირი, ოზურგეთიდგან ნაგომრამდე ურმების სვლა შეწყვეტილია, საქონლის ჭირის გამო. საქონლის ექიმები დადიან სოფლებშიდ, კლავენ იმ პირუტყვს, რომელსაც აღმოუჩნდება ჭირი, და პატრონს ნახევარ ფასს აძლევენ.

ქურდ-ბაცაცებმა კვლავ აიშვეს თავი. ისე ღამე არ გაივლის, რომ ვინმე არ გაქურდონ. ამ დღეებში სამი ახალი ქურდობა მოხდა. ცხოვრების ნაძირალები, ღამ-ღამობით სტეხენ ბეღლებს, ნალიებს, სამზარეულო სახლებს და სხ.. ხალხი ძრიელ შეწუხებულია ნაძირალებისაგან. ადგილობრივი ადმინისტრაცია კი არავითარ ყურადღებას არ აქცევს ამ ამბებს, და ქურდები კი უშიშრათ განაგრძობენ მათ საქმეს საგმიროს.

**გრიშა გურული.**

## თელავის ცხოვრება

წერილი I

რა ენა წახდეს,
ერიც დაეცეს.

ჩვენ კურთხეულ სატახტო ქალაქ თელავში რომ უცხო ვინმე მოვიდეს, ერთხელ-ორჯელ გაიაროს ბულვარში და ცოტა ხანი დაჰყოს საზოგადოებაში, უეჭველად რომელიმე რუსული პროვინცია ეგონება. ენით, ზნე-ჩვეულებით, ქცევით, ჩაცმა-დახურვით გადაგვარების გზას დავდგომილვართ; ყველგან, შინ თუ გარედ, კერძოთ თუ საზოგადოდ ბაასი უცხო ენაზე სწარმოებს. ქართულ ენაზე ლაპარაკი სასირცხვილოდ მიაჩნიათ, სამშობლო ენს მეტ ბარგადა სთვლიან, ქართულ წასაკითხ წიგნებს ხომ ახლო არავინ იკარებს. ბევრნი, ძალიან ბევრნი ილიას, რაფიელს, ყაზბეგს და სხვა ჩვენ მწერლებს არ იცნობენ და უცხო მწერლების რომანები-კი ზეპირადა აქვთ შესწავლილი. ჩვენი პოეტების ნაწარმოებს არ იცნობენ და უცხოელებს-კი ზედ-მიწევნით არჩევენ, რისთვისაც წრეებს აღგენენ, კრებებს იწვევენ და მკითხველებს ჰპატიჟობენ. ქართველ ოჯახებში საყმაწვილო ჟურნალს ან წიგნებს სხვა ენაზე შეჰხვდებით. ეს სხვათა შორის შეუძლიან დაამოწმოს „ნაკადულის“ და „ჯეჯილის“ რედაქციებმა, რომ თელაველ ხელის მომწერთა რიცხვი ხუთ თითზე ჩამოითვლება. ისეთ ოჯახებსაც შე ხვედრივარ, რომ ძიძად გომბორიდამ გამოეწეროთ „მატუშკა“, რომ ენა სხვა ენაზე ამოადგმევინოს ბავშვს...

ჩვენი სამშობლო ენის მდგომარეობა ასეთია ჩვენსავე ოჯახში, რომელიც ჩვენ განკარგულებაშია და როგორც გვინდა ისე დავიცავთ. საკვირველი აღარაა ამის შემდეგ, რომ იგი, ე. ი. სამშობლო ენა, თელავის ქალთა და ვაჟთა სასწავლებლებში უკანასკნელ საფეხურზე ძლივსლა ჰბჟუტავს.

ამის შემდეგ გასაკვირველი აღარაა, რომ წარსული არად მიგვაჩნდეს, აწმყოს თვალს ვარიდებდეთ და მომავალი არა გვრწამდეს.

—·—

ამის შემდეგ გასაოცარი აღარაა, რომ სამშობლო ლიტერატურის ბურჯთა ხსოვნასაც ღირსეულ პატივს არა ვცემთ. მაგალითად მოვიყვანოთ თუნდა ილია და რაფიელი, რომელნიც ადგილობრივ მკვიდრნი იყვნენ. რით უკვდავ ვყავით ამათი სახელები? არაფრით. სხვა ჩვენ სამშობლოს ქალაქ-დაბებში თითო სტიპენდია მაინც დააარსეს, აქ ესეც არა ყოფილა. რითი აღვნიშნეთ ჩვენი მგოსნის აკაკის იუბილეი, რომ ხვალვე არ დაგვიწყებოდა მისი 50 წლ. ეკლიანი ნავალი გზა? აქაც ვერაფერს მოგახსენებთ.

თელავში ისიც ვერ ითავეს, რომ ღიად მოჭირნახულე პოეტის იუბილეი შესაფერისად მოეწყოთ. პატარა წიგნაკები მაინც დაერიგებინათ ხალხისთვის, რომ შინ მაინც წაეკითხათ აკაკის ენაწყლიანი ლექსები. არც სოფლებში მოუგონებიათ, სადაც უფრო საჭირო იყო. მაგრამ წარსულზე ამ ხელად კმარა, ეხლა აწმყოზე ორიოდე სიტყვა, შეიძლება მკითხველსაც ახალი ამბავიც აინტერესებდეს ძველთან ერთად.

—·—

ახალწლის დღესასწაულები ბოლოვდება თელავში წმ. ნინობით. რასაკვირველია როგორც კულტუროსანი საზოგადოება, ჩვენი ინტელიგენცია წარსულ დღესასწაულებში ერთმანეთის წვეულებებით ირთობდა თავს, ხოლო თავიანთ შვილებსაც რომ არ მოეწყინათ—შობის ხეებს უმართავდენ, მაშინ როდესაც მის გვერდზე მყოფთ არსებითი პური ენატრებათ და ასეთი ღარიბთა რიცხვი თელავში მრავალია. წინა წლებში შობის ხეს მაინც უმართავდენ ხოლმე ღარიბებს, სასიამოვნო სანახავი იყვნენ ღარიბთა შვილები ან ობლები, როცა საჩუქრის ხალათის ან კაბის და ხილეულობის მიღების შემდეგ სიცილს ვეღარ იჭერდენ. წელს არც ამისთანა შობის ხე გაუმართავთ. ალბად დრო არა ჰქონდათ...

წმ. ნინობა ქართველების ეროვნულ-ეკლესიური დღესასწაულია. მართალია ამ რამდენიმე წლის წინედ თელავის სობოროში რუსულად გარდაიხადეს წირვა, როგორც მაშინ გვაუწყებდა თელაველი კორესპონდენტი, და კიევის აკადემიაში—ქართულად. ამ დღეს ყველას ჰმართებს ეკლესიაში მოიგონოს ქართველთა განმანათლებელი წმ. ნინო, მაგრამ თელავში და რასაკვირველია სხვაგანაც მხოლოდ იმაში გამოიხატა, რომ ჩვენ ქალიშვილებს ერთმანეთის მილოცვით, საჩუქრების მირთმევით და საღამოთი ლოტობანქოთი დაიკმაყოფილეს თავი.

—·—

წმ. ნინობის დღესვე წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში გაიმართა აქტი. გარდაიხადეს პარაკლისი, წაიკითხეს მოკლე ანგარიში და მ აბეს სალიტერატურო მუსიკალური განყოფილება. სამშობლო ენისთვის მცირე ადგილი დაეთმოთ, რამდენიმე მოსწავლემ წაიკითხა ლექსი და ამითაც ვერ დაგვაკმაყოფილეს. პატარა მოსწავლეთ როიალზე დაუკრეს, რომლის შესახებ არ შეგვიძლიან არ მოვიყვანოთ ის საყვედური, რომელიც აქტის შემდეგ გავიგეთ მოწაფეთაგან, რომ ვითომ როიალზე დააკვრევინეს მხოლოდ იმათ, ვინც სასწავლებელში სწავლობს, ხოლო ვინც გარედ—ახლო არ მიუშვეს თურმე. თუ ეს მართალია, ასეთი გარჩევა არ უნდა იყოს პატარა ყრმათა შორის. საღამოთი გაიმართა ცეკვა და მოსწავლეებს დაურიგეს ხილი. პატარა ქალებმა ბევრი იმხიარულეს და ნასიამოვნები დაბრუნდენ. ამ მხრივ უფროსი შრომას არა ჰზოგავს, რომ დრო გამოშვებით მოსწავლეთ გასართობი და უფრო შინაარსიანი საღამო გაუმართოს, რაც არ შეიძლება ქებით არ მოვიხსენიოთ.

—·—

საზოგადოდ დღესასწაულები მხიარულად მიმდინარეობს თელავში, რასაც ზედ ერთვის წარმოდგენების სიუხვე. თელავში წარმოდგენები და საცეკვაო საღამოები ხშირად იმართება, დაიარება შეძლებული საზოგადოება და ირთობს თავს. არც ერთხელ იაფ-ფასიანი წარმოდგენა არ გამართულა, არც ერთხელ ფიქრად არავის მოუვა, რომ სცენა აჩვენოს მდაბიო ხალხს. ან რა ხელს მისცემთ. წარმოდგენები იმართება ერთად ერთი მიზნით, რაც შეიძლება მეტი ფასი დაადონ, მეტი ფული აიღონ და ღარიბი ხალხი-კი აბა რას მისცემს.

ამასთან წარმოდგენებს ხშირად კერძო პირნი ჰმართვენ თავის ჯიბის სასარგებლოდ, რომელსაც ეს არაფრით დაუმსახურებია. მოურიდებლად აცხადებენ აფიშებში ბენეფისებს. დროა მოისპოს კერძო პირთა სასარგებლოდ წარმოდგენების მართვა, ვინაიდან თელავში ბევრი საქმეა საზოგადო და საერთო, რომელთაც დახმარება სჭირია.

**შიგნით—კახელი.**

რედაქტორ-გამომცემელი
**კ. ი. ხერხეულიძე.**

GRAND PRIX.
პარიჟი 1900 წ.
1870 г. 1882 г.
1865 г. 1896 г.
ქვეყანაზე საუკეთესო
**გალოშები**
სამკუთხიანი ნიშნით
1860.
Т.Р.А.Р.М.
С.ПЕТЕРБУРГЪ.
რუსეთ-ამერიკის რეზინის მანუფაქტურის ამხანაგობისა
ფირმით „სამკუთხი“ ს.-პეტერბურგში.
პასუხს ვაგებთ, რომ საქონელი კარგი თვისებისაა
იყიდება ყველგან.
50—3

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა ამხ. „სორაპანი“-სა, მადათოვის კუნძული № 1, ტელეფ. № 539.